GIEC
საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია
GEORGIAN INTERNATIONAL ENERGY CORPORATION

№ 425/1 21 11 2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ს დაგეგმილი ჰქონდა "რიცეულა ჰესის" პროექტის განხორციელება, რაზედაც 2011 წლის 11 თებერვალს გაცემულია N9 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 ივლისის ბრძანება N2-1073).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, გათვალისწინებული იყო სათავე ნაგებობის აღდგენა-რეკონსტრუქცია, სადერივაციო სისტემის რეკონსტრუქცია, მათ შორის 1236 მ სიგრძის გვირაბის მოწყობა, ახალი გამთანაბრებელი არხის მოწყობა, არსებული სადაწნეო მილსადენის პარალელურად დამატებითი მილსადენის მოწყობა და სხვა.

რეკონსტრუქციის სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მიღებული იქნა გადაწყვეტილება ახლად შექმნილი ნაგებობების გამოყენებით ახალი ჰესის რაჭა ჰესის მოწყობის თაობაზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, ახალი ნაგებობები, რომელთა მოწყობა გათვალისწინებული იყო რიცეულა ჰესის რეკონსტრუქციის პროექტით, აშენდა რაჭა ჰესისათვის 09.11.2018 წლის N2-908 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2014 წლის 25 მარტის N12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

რაჭა ჰესის ნაგებობების მშენებლობის დამთავრების შემდეგ განხორციელდა რიცეულა ჰესის არსებული ძველი ნაგებობების რეაბილიტაცია, კერძოდ: აღდგენილი იქნა ჩამკეტი ფარები, სალექარი, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სადერივაციო არხს და სადერივაციო მილსადენის ლითონ-კონსტრუქციის ხიდებს და ძველ გამთანაბრებელ რეზერვუარს და სხვა.

გამომდინარე იქედან, რომ რიცეულა ჰესის რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა და ამ ინფრასტრუქტურით ფუნქციონირებს რაჭა ჰესი, ხოლო რიცეულა ჰესი ფუნქციონირებს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ახალი ინფრასტრუქტურის გარეშე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, საქმიანობა განიხილება სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობად. რიცეულა ჰესის ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიის ფიზიკური და ბიოლოგიური გარემოს სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება სკრინინგის პროცედურის გავლის გარეშე, გზშ-ს ანგარიშის მომზადების თაობაზე.

ISO 9001 CERTIFICATION Intertek

ქ. თბილისი, 0177 გაზაფხულის ქ. №18
18, GAZAPKHULI STR, 0177 TBILISI, GEORGIA
Tel.: +(995 32) 2 21 01 87
E-mail: giec@giec.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 20718
17 11 2021
212+CD
16c8
03

აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ რიცეულა ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- რიცეულა ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და ჰესის ნაგებობების განთავსების ტერიტორიების გეოგრაფიული კოორდინატები GIS ფორმატში.

პატივისცემით,

ოდუქსი ვილხოვი
გენერალური დირექტორი